№ 6. 10 იანვარი, შაბათი. 1866—1881 10 იანვარი. შაბათი. № 6

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გალავინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე [illegible] მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ამ 1881 წელს

# დროება-ივერიის

### გამოცემასედ

ამ 1881 წელს ყოველ-დღიური გაზეთი „დროება“ გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომელების დახმარებით, როგორც აქამდისინ გამოდიოდა. როგორც იმ თავიდგან, გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წლიწადს, ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისდა-გვარად, გაეკარგებინა გაზეთი, ისე ამ წელსაც ეცდება და იმედი აქვს რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

„ივერია“ კი ამ წლიდამ გამოდის თთვე-და-თთვე, ახალის, უფრო ვრცელის პროგრამმით და ახალ თანამშრომლების დახმარებით. ყველა ნომერში იქნება არა-ნაკლებ 4 დიდის თაბახისა.

რედაქციას იმედი აქვს რომ ჟურნალი გამოსცის ყოველის თთვის პირველს რიცხვს.

### ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: „დროება-ივერიის“ რედაქციაში, გალავინის პროსპექტზე თ. ივ. ქ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში: რედაქციის აგენტთან გ. ი. ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი და ჟურნალი: Въ Тифлисъ. Въ редакцію Дроэба-Иверіи.

ფ ა ს ი:

| | 1 წლით | 6 თვით. | 3 თვით. |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ორივე ერთად — | 14 მან. | 8 მან. | 5 მან. |
| „დროება“ ცალკე — — — | 9 „ | 5 „ | 3 „ |
| „ივერია“ ცალკე — — — | 7 „ | 4 „ | 2 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება-ივერიისა“ { ილია ჭავჭავაძე, სერ. მესხი.

ამ მოკლე ხანში იხსნება

## თესლის დეპო

სადაც გაისყიდება ყოველ გვარი ბოსტნეულისა და წვანილეულის თესლები.

დეპო იმყოფება შადინოვის ქარვასლაში, ბაზასხანაში, № 19.

ქალაქს გარეშე მცხოვრებლებს, ვისაც თესლის დაბარება ჰსურსთ, შეუძლიათ ამ ზემოხსენებულ ადრესით დაიბარონ. (5—1)

# ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 7 იანვარს. გუშინ დ. მ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უფროსი სამხედვარ გარეთ წაბრძანდა. გუშინ პეტერბურღში ჩამოვიდა ჩვენი გამოჩენილი მოგზაური პრჟევალსკი.

ლონდონი, იანვარს. სამხედრო კაცების რჩევით, ინგლისის მმართებლობამ გარდასწყვიტა, რომ რამდენიმე ხანი კიდევ დასტოვოს ბრიტანიის ჯარები ყანდაარში.

რიგა, 7 იანვარს. ოფიცრებმა გაუმართეს სადილი „გოლოსის“ კორრესპონდენტს ოფიცერს სოლოვიევს, რომელიც რაუტენფელდის საქმის თაობაზედ სწერდა აქედამ კორრესპონდენციებსა და რომელიც ამისათვის თავს-და-უნებურად გარდაიყვანეს სხვა პოლკში. ამ სადილზე ბევრი ოფიცრები და ადგილობრივ მცხოვრები რუსები დაესწრნენ.

კიევი, 7 იანვარს. კიევის გუბერნიის რევიზიისათვის გაგზავნილი სენატორი შოლოვცევი ძლიერ ავათ არის, მაგრამ თავის საქმე მაინც არ შეუწყვეტია. კიევის ღენერალ-გუბერნატორმა, ჩერტკოვმა, სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი შეიტანა.

## ახალი ამბები

—

დღევანდელ „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი ცნობა კასპიის იქითა მხრიდან.

„ღენერალ-ადიუტანტი სკობელევი იწერება, რომ ღამე 31 დეკემბერს, სიმაგრეებზე მუშაობის დროს, დიდძალი ჯარი მტრისა თავს დაგვეცა მარცხენა და მარჯვენა მხრიდამ და უკნიდამ. საშინელი, ხანდისხან ხმალ-და-ხმალ შეტაკება გაგრძელდა ღამის პირველ საათამდინ. [illegible] მხრიდამ განდევნეს, გარდა მარცხენა მხრისა, სადაც იმათ დროებით დაიჭირეს ჩვენი გამაგრებული ადგილი, რომელსაც იცავდა ერთი როტა კასპიის იქითა მხრის ადგილობრივი ბატალიონი ორის მთის ზარბაზნითა; ამ ბატარეის ყველა არტილერისტები დახოცეს, როტაში მოჰკლეს: როტის უფროსი და ოც-და-ცხრამეტი სალ-

---

### «დროების» ფელეტონი, 10 იანვარს.

## ფრაგოლეტა

ზღაპარი

ედუარდ ლაბულესი

(გაგრძელება*)

მეორე დღეს კუდიანმა ბებერმა მოიხმო ფრაგოლეტა და უთხრა:

— მე უნდა აფრიკაში წავიდე და ამ საღამოზე დავბრუნდები უკან. ჰხედავ ამ ერთ ტომარა ხორბალს: უნდა დაფქვა და პური გამოაცხო საღამომდინ. ეს კალთის წყლით გამსებაზე უფრო ძნელი არ არის. თუ არ აგისრულებია, ვაი შენ ტყავს! შეგჭამ!

სთქვა ეს, გამოვიდა, კარები გამოიკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიდო და წავიდა.

— ეხლა კი დავიღუპე! სთქვა გამწარებულმა ფრაგოლეტამ. როგორ შემიძლია ამოდენა ხორბლის დაფქვა და გამოცხობა? არც წისქვილია აქ და არც გამოსაცხობათ ფურნე.

მივარდა კარებს, უნდოდა როგორმე გაეღო და გაქცეულიყო.

ამ დროს ბელებონმა შემოაღო კარები.

— ფრაგოლეტა! ფრაგოლეტა! მე შენთვის სიკეთე მინდა. მაკოცე ერთი და ვაგიკეთებ მაგ საქმეს!

— კუდიანის შვილს არას დროს არ ვაკოცებ! სთქვა კანკალით ფრაგოლეტამ.

— ბაუტეხელი ხართ, ფრაგოლეტა, მაგრამ მე მაინც არ მიგატოვებთ მაგ მდგომარეობაში.

და ამ სიტყვების შემდეგ ერთი დაუსტვინა. იმ წამსვე ყველა მხრიდამ გამოძვრნენ დიდრონი და წვრილი თაგვები. დიდრონ თაგვებმა წაიღეს ხორბალი წისქვილში დასაფქველათ და მალე მოარბენინეს ფქვილი; წვრილებმა ცომი მოზილეს; დიდრონებმა ფურნე გააჩურეს და გამოაცხეს პურები.

როცა მოვიდა კუდიანი დედა-კაცი, ნახა ყველაფერი მომზადებული იყო.

— შე საძაგელო შენა, ბებელონი ნახე განა და იმან გიშველა? გამოტყდი!

— თქვენ თითონ უკეთ უნდა იცოდეთ, რადგან კუდიანი ხართ.

კუდიანმა გაიქნია ხელი და უნდოდა სილა გაერტყა; მაგრამ ფრაგოლეტა დაიღუნა, კუდიანი დაეცა და ცხვირი დაჰკრა.

— კარგი! კარგი, ჩვენ ვნახავთ ვინც დარჩება გამარჯვებული! ის გაიცინებს კარგათ, ვინც ბოლოს გაიცინებს!.

თავი III.

ორი დღის შემდეგ დედა-ბერმა მოიხმო ფრაგოლეტა და ალერსიანად უთხრა:

— წადი, შვილო, ჩემს დასთან, სთხოვე ჩემ მაგიერ მათხოვოს თავისი პატარა ყუთი და მომიტანე.

— რა ვიცი მე, სადა დგას თქვენი და და რა ჰქვიან?

— ამაზე ადვილი არა არის-რა, უპასუხა კუდიანმა. სულ პირ-და-პირ წახვალ, გზაზე დაგხვდება ჩქარი და აღელვებული წყალი, რომელიც ჰპრის გზას ორათ; უნდა გადახვიდე ამ წყალში ფეხით და ცოტა მოშორებით ერთი ძველი სასახლეა, რომელსაც გარშემო არტყია რკინის ღობე. აი სწორეთ იქა დგას ჩემი და, რომელსაც ჰქვიან ასპიდი. წადი, შვილო, დაეჩქარე.

— რაღაც საწყალთ-მოქმედებაა, იფიქრა ფრაგოლეტამ: დედა-ბერი კარგ გუნებაზე უნდა იყოს, რომ ასე ალერსიანად მელაპარაკება. ამ ფიქრის შემდგომ კიდეც გაემგზავრა.

გზაზე შეხვდა ბელებონი.

— სად მიდიხარ ასე ადრე? ჰკითხა ბელებონმა.

— ქალ-ბატონის დასთან,—რაღაც ყუთი უნდა მოუტანო ქალ-ბატონს.

— შე უბედურო, შენა, სასიკვდილოთ გზავნიან: თავის დღეში არც ერთი სულდგმული არ გამოსულა ცოცხალი იმ ასპიდის სასახლიდამ. მაგრამ მე შემიძლია დაგიხსნა სიკვდილისაგან. მხოლოდ მაკოცე ერთი.

— არა, ვერ ვაკოცებ კუდიანის შვილს.

— ფრაგოლეტა! ფრაგოლეტა! თქვენ საშინელი უმადური რამა ხართ; მაგრამ მე თქვენ ჩემს თავზე უფრო მიყვარხართ და ამიტომ დაგიხსნით

*) იხ. „დროება“ № 5.

დათი, დაჭრილების რიცხვი ორმოცდა-ერთი კაცია. დასახმარებლად მოსულმა ჯარმა წაართვა მტერს სიმაგრე და ერთი ზარბაზანი; მეორე ზარბაზანი კი, თუმცა ჩვენები მისდევდნენ ყველგან განდევნილ და დამარცხებულ მტერს სულ ციხის კარებამდისინ, ვერ დაატოვებინეს. მამაცურათ დახოცილ არტილერისტებმა მოასწრეს ზარბაზნის კლიტეს ამოღება, რომელიც იპოვეს ჩვენებმა, როდესაც სიმაგრე დაიბრუნეს. სიმაგრეების მუშაობა, რომელიც დანიშნული იყო პლანით ამ ღამისათვის აღასრულეს მტრის განდევნის შემდგომ. გაცხარებული ზარბაზნის სროლა ციხეში მთელ ღამეს არ შეწყვეტილა:

„მეორე დღეს ბანაკი წინ გავსწიეთ პირველ თხრილამდისინ. ამ ღამის ზიანს ჩვენის მხრით შეადგენს: მოკლულია პოლკოვნიკი იანოვსკი; დაჭრილი არიან: ესაული ნუჯევსკი, შტაბს-კაპიტანები: ბალუიევი და ხარკევიჩი, პოდპორუჩიკი ბრინიოვი და პრაპორშჩიკი ვაგანოვი; სალდათები მოკლულია ორმოცდა-თორმეტი, დაჭრილია ოთხმოცდა-თექვსმეტი. მტრის მხრით ზარალი ბევრია.

* * *

გუშინ, ხუთშაბათს ღამით, „ლონდონის“ სასტუმროში გარდაიცვალა ღენერალ-ლეიტენანტი არზას არტემის ძე ტერ-ლუკასოვი. მიცვალებული ფილტვების ანთებით ყოფილიყო ავათ და ორის დღის [illegible] გათავდა. მიცვალებულის გვამს დღეს, პარასკევს 4 საათზე გაასვენებენ ვანქის სობოროში და ზეგ, 11-ს, დაასაფლავებენ.

* * *

ამ 1881 წლის 1 იანვრიდამ თფ. საქალებო ინსტიტუტის პანსიონერკების შენახვისათვის წლიური ფასი, 210 მანეთის მაგივრად, 300 მანეთია დანიშნული.

* * *

გამოვიდა უმაღლესი განკარგულება, რომლის ძალითაც ვაჭრებმა იმ გარდასახადს გარდა, რომელსაც ახლა აძლევენ ისინი სავაჭრო დოკუმენტებისა და ბილეთებისათვის, უნდა აძლიონ კიდევ ხაზინის სასარგებლოდ შემდეგი დამატებითი ხარჯი:

პირველ გილდიის მოწმობისათვის — 235 მან., მეორე გილდიის მოწმობისათვის: პირველი კლასის ადგილებში — 35 მან., მეორე კლასის — 20 მან., მესამესი — 15, მეოთხესი — 10, მეხუთესი — 5 მან. მოწმობასთან მიცემულს ბილეთებისათვის: პირველ გილდიისა, პირველ კლასის ადგილებში — 20 მან., მეორე კლასის — 15, მესამესი, მეოთხესი და მეხუთესი — თითო თუმანი. მეორე გილდიის მოწმობისათვის: პირველ კლასის ადგილებში — 10 მან., მეორესი — 8 მან., მესამესი, მეოთხესი და მეხუთესი — 5 მან. პირველ კლასის პრიკაზჩიკის მოწმობისათვის — 10 მანეთი და სხვ.

* * *

მთა-წმინდის მარცხენა მხრის მცხოვრები გლეხები შემოგვჩივიან ვილაც შაჰბედალოვზე, რომელსაც რაღაც ძველი სიგელით დაუჩემებია მთელი წყაროსუბანი და გლეხებისათვის დავა აუტეხნია, სულ ეს უბანი ჩემიაო. წყაროს უბანში ამ გლეხებს ამ 30—40 წ. წინათ დაუწყიათ სახლების შენება. ამბობენ, ბევრი ღატაკი გლეხი შეუვიწროებია ამ შაჰბედალოვს და გლეხებს იმდენი საშუალებაც არა აქვსთ, რომ სადმე იჩივლონო.

* * *

გვესმის საჩივრები აგრეთვე ჩვენს მესჩანსკის უპრავაზედ. უპრავის ჩინოვნიკი დესიატნიკებით დაიარება ქუჩებში და მტყუანსა და მართალს იჭერს, ხარჯი არ გადაგიხდიაო, მიათრევენ უპრავაში და ატუსაღებენო.

* * *

ოთხი ფოჩტა დღეს ერთად მოვიდა, მაგრამ რადგან გვიან იყო, ამ გაზეთებიდამ ვერც „უცხოეთისა“ და ვერც „რუსეთის“ განყოფილებისათვის ახალი ამბების გამოკრება ვერ მოვასწარით.

## წერილი რედაქტორთან

ჩვენს ქვეყანას თითქოს ბედი არ ჰქონია რკინის გზის გაყვანაში. ყველამ კარგათ იცის — თუ რა ღონეს ხმარობდნენ ზოგიერთი პირები, რომ რკინის გზა აეცილებიათ უსაჭიროესს ადგილებს და დაეახლოვებინათ იმ ალაგებს, სადაც კერძო პირების ინტერებისთვის საჭირო იყო.

ამ უბედურებას უნდა დაუმატოთ სხვა და სხვა უწესოებაც და გაჭირვებაც, რომელიც მოელის ამ გზაზედ მოგზაურებს. ვინ ასწერს ამ გაჭირვებას? მე მხოლოდ ერთ იმათგანზედ მინდა მოგახსენოთ რამოდენიმე სიტყვა.

რიონის სადგური ფოთი-თფილისის გზაზედ, ამ უკანასკნელ დროს თითქმის, უმთავრეს სადგურად უნდა ჩაირიცხოს, რადგანაც აქ შეხვდებიან ქუთაისის და ფოთის, ფოთისა და თფილის, თფილისისა და ქუთაის ყველა დროის პოეზდები. მაშასადამე ამის-და-გვარად უნდა იყოს დაწესებული, რომ ამ სადგურზედ ყოველგვარი მოთხოვნილება წამავალ-მომავალისა დაკმაყოფილებული იყოს.

წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში უნდა იყოს კაცი, როდესაც წყალში ან და ტალახში და თოვლში დგას და ზევიდამ ან აწვიმს, ან ათოვლს.

აი ამ გვარ მდგომარეობაშია ამ სადგურზედ კაცი, საიდამაც უნდა მოდიოდეს. რისთვის [illegible]? მისთვის, რომ თვითონ ზალა, სადაც შეიძლება კაცმა თავი შეიფაროს, გახლავსთ ძრიელ ვიწრო. ორმა კარაპეტამ და ამდენმა არუთინამაც რომ შეიყარონ აქ თავი, სხვებს ადგილი აღარ ექნებათ. გარეთ, დებარკადერზედ გაჩერება სრულებით არ შეიძლება, რადგან დახურული არ არის. ამ მდგომარეობაში არის საწყალი მოგზაური თითქმის ერთის საათის განმავლობაში, ხანდისხან მეტიც, მაგალითებრ ღამის პოეზდის მოსვლის დროს, როდესაც ორი საათი და ხან მეტიც უნდა იცადო.

მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ამ სადგურზედ სახურავის გაკეთება, და საზოგადოთ რიგიანი სტანციის გამართვა, ამისათვის მივაქცევთ, ვისიც ვალია, ამ საგანზედ ყურადღებას და ვიმედოვნებთ, რომ ამ გაჭირვებას აგვაცილებენ მოგზაურთ ახლო მომავალში.

მგზავრი.

# რუსეთი

**ოდესსა, 28 დეკემბერს.**

(„დროების“ კორრესპონდენცია)

საშუალ სასწავლებლებში კურს-დასრულებული ჩვენი ახალ-გაზდობის მცირედი ნაწილი ემგზავრება მეცნიერების [illegible] უმეტეს ნაწილად რუსეთის შემდეგ უმაღლესს სასწავლებლებში: პეტერბურღის, მოსკოვის, ყაზანის და კიევის ორ უმაღლესს სასწავლებლებში: უნივერსიტეტში და სასულიერო აკადემიაში; აგრეთვე ოდესსის და ხარკოვის უნივერსიტეტებში.

რამდენი ქართველი სტუდენტია თითოეულს ამ რუსეთის უმაღლესს

---

სიკვდილისაგან. კარგა ყური დამიგდე: როცა მიხვალ იმ საშინელ მდინარესთან, კიდეზე შედექ და უთხარი: „ლამაზო მდინარევ, გამიშვი, გავიარო შენს დავერცხლულს ტალღებს შუა.“ წაიღე თან აი ეს ზეთით სავსე ბოთლი, პური, თოკი და პატარა ცოცხი. როდესაც მიხვალ ლობესთან, კარებს წაუსვი ზეთი, ის გაიღება; მოვარდება დიდი ძაღლი, იმას პური მიუგდე; ეზოში დაგხვდება ერთი საწყალი ქალი, რომელსაც თავის თმების ნაწნავებზე უნდა მოაბას ჭურჭელი და ისე უნდა ამოიღოს წყალი; იმას მიეცი ეს თოკი და დაიხსენ იმ საშინელ წვალებისაგან. ადი ზემოთ სახლებში, იქ დაგხვდებათ ერთი ქალი, რომელმაც უნდა თავის ენით გაწმინდოს ფურნე; იმას ეს ცოცხი მიეცი. მერე შედი იმ ოთახში, სადაც სძინავს თვითონ ასპიდს; ყუთი დიდ თახჩაზე სძევს, აიღე ჩუმათ და როგორც შეგიძლია გამოიქეცი. თუ ყველაფერს ამას აასრულებ და გამიგონებ, რაც გითხარი, არ მოკვდები, მშვიდობით გადარჩები.

ფრაგოლეტას არც ერთი ბელებონის ნათქვამი სიტყვა არ დაავიწყდა. მივიდა მდინარესთან და უთხრა:

— მშვენიერო მდინარევ, გამიშვი, გავიარო შენ მშვენიერ დავერცხლულ ტალღებს შუა. წყალის დედოფალმა უპასუხა ტკბილის ხმით:

— გაიარეთ პატიოსანო ქალო!

მდინარე შუაში გაიყო ისე, რომ ფრაგოლეტამ სრულებით მშრალათ გაიარა.

მივიდა რკინის ლობესთან, წაუსვა ზეთი, კარები გაიღო.

ძაღლი მივარდა პურს და ალერსით უყურებდა ფრაგოლეტას.

დედაკაცებმა დიდის სიამოვნებით მიიღეს ის საჩუქრები, რომლებიც ფრაგოლეტამ მათ მოუტანა.

შევიდა ასპიდის ოთახში, წაავლო საჩქაროთ ყუთს ხელი და გამოიქცა.

ფრაგოლეტას გული საშინლათ უცემდა. ეგონა, რომ სრულებით გადარჩა სიკვდილს; მაგრამ ასპიდს გამოეღვიძა, ფრაგოლეტა კიბეზე იყო. ასპიდმა შეჰქნა ყვირილი.

— ეი, შენ, დაიყვირა ასპიდმა, მზარეულო ქალო, მოჰკალ ეგ ქურდი!

— დიახ, როგორ არა! უპასუხა მზარეულმა დედაკაცმა: მაგან მე ცოცხი მომიტანა იმ დროს, როდესაც შენ მე ენით მაწმენდინებ თორნეს და მე ეგ უნდა მოვკლა?!

— წყლის მზიდველო დედაკაცო, დაიყვირა ასპიდმა, დაიჭირე და დაახრჩე ეგ ქურდი!

— როგორ არა! უპასუხა ამან: მაგან მე თოკი მაჩუქა მაშინ, როდესაც შენ ჩემი ნაწნავებით მაღებინებ ქიდამ წყალს და მე ეგ უნდა დავახრჩო?!

— ძაღლო, შესჭამე!

— დიახ, რასაკვირველია! უპასუხა ძაღლმა: მაგან მე პური მამცა, შენ კი შიმშილით მკლავ და ეგ უნდა შევჭამო?

— კარებო, დაიხურეთ!

— როგორ არა! მაგან ჩვენ ზეთი წაგვისვა, შენ ხელში კი ჟანგი გვჭამს და ეგ უნდა მოგაკვლევინოთ?!

ასპიდმა ერთი ფეხი გადმოდგა და მთელი კიბე გადმოხტა; მივარდა კარებთან, მაგრამ კარები ისე ერთბაშათ დაიხურა, რომ ცოტა გაწყდა გაჭყლიტა ეს კუდიანი.

ფრაგოლეტა ისე გამწარებული მორბოდა, რომ უკანაც აღარ მოუხედნია. შიშმა მაინც არ დაავიწყა ის სიტყვები, რომლითაც უნდა მიემართა მდინარისათვის და იქაც მშვიდობიანათ გაიარა. საძაგელი ასპიდი ფრაგოლეტას უკან მისდევდა.

— აბა, საძაგელო, მღვრიევ მდინარევ, შეაჩერე შენი ტალღები, უნდა გავიარო, თორემ დაგაშრობ!

მდინარე შუაში გაიპო და როდესაც ასპიდი შუა გზაზე იყო, აუშვა ისევ თავისი ტალღები და შიგ ჩაახრჩო ასპიდი. წყლის დედოფალმა სამაგიერო გადუხადა იმას.

ამ ნაირად ფრაგოლეტა მშვიდობიანად დაბრუნდა სახლში და ყუთი დაუდგა წინ თავის ქალბატონს. ვერ წარმოიდგენთ, თუ რა საშინელი სახე ჰქონდა როკაპს, როდესაც იმან ეს ყუთი დაინახა და მშვიდობით დაბრუნებული ფრაგოლეტა.

— ესეც კიდევ ბელებონის საქმეა! იფიქრა კუდიანმა, მაგრამ მე გადუხდი მაგიერს. ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს! ის გაიცინებს კარგათ ვინც უკანასკნელად გაიცინებს.

(დასასრული შემდეგ №-ში.)

სასწავლებელში, ამაზედ ეხლა ნამდვილს ვერას მოგახსენებთ, ჩვენ მხოლოდ ოდესსის და მოსკოვის უნივერსიტეტებში მყოფ ქართველ სტუდენტთა რიცხვითი რაოდენობა შეგვიძლია გაცნობოთ.

მოსკოვში 20 ქართველი სტუდენტია ამ ჟამად უნივერსიტეტში.

რაიცა შეეხება ოდესსის უნივერსიტეტს, ამ უნივერსიტეტში ამ ჟამად 12 ქართველი სტუდენტი ვიმყოფებით. ამათგანს შვიდს ეძლევა კავკასიის სტიპენდია, თვეში 20 მანეთი და 80 კაპ., დანარჩენი ხუთი კი თავის საკუთარის ხარჯით სცხოვრობს.

საზოგადოდ რო ვსთქვათ ნივთიერის მხრით დიდს გაჭირვებას, მაინცა და მაინც არა ვგრძნობთ. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრით, ჩვენი მშობლების სიღარიბეს და მეორეს მხრით აქაურს სიძვირეს, სადაც, რაც უნდა შეამციროს სტუდენტმა თავისი მოთხოვნილებანი, უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, საჭიროა, სულ რო ცოტა ჩავაგდოთ, 30-40 მანეთი თვეში, მაშინ ადვილი მისახვედრი იქნება თითოეული ჩვენგანის მდგომარეობა.

ყმაწვილს სახელმწიფო სტიპენდია ეძლევა ან შინიდან მოსდის, ვსთქვათ, 25 მანეთი თვეში და სჭირდება კი, როგორც ზევით მოგახსენეთ, 30-40 მანეთი; ამას გარდა 40 მანეთი უნივერსიტეტში უნდა შეიტანოს წლიურად (ვისაც სტიპენდია არ ეძლევა) სწავლის ქირა და თან ტანსაცმელიც შეიკეროს. საიდამ, რა საშუალებით მოახერხოს ყმაწვილმა ყველა ამ საჭიროებათა დაკმაყოფილება! ეს კიდევ არაფერი; ვისაც 25 მანეთი მაინც კი აქვს თვეში, თუმცა გაჭირვებით, მაგრამ ის კიდევ იცხოვრებს, ან გაკვეთილს აიღებს, თუ სადმე იშოვნა, ან და შუა ქალაქზედ დაშორებით დაიჭერს ნოტიო ოთახს იაფ ფასად. მაგრამ წარმოიდგინეთ უნუგეშო მდგომარეობა იმ მოზარდ ყმაწვილისა, რომელიც ორ თვეშიაც ერთხელ ვერ ღებულობს 25 მანეთს. ამ გვარი სტუდენტები ყოფილან და ახლაც არიან. მე აქ მარტო ოდესსის უნივერსიტეტში მყოფ ქართველ სტუდენტებზე როდი ვამბობ ეს, ცოტად თუ ბევრად, შეეხება სხვა უნივერსიტეტებში მყოფ უსტიპენდიო სტუდენტებსაც.

მაშ რა უნდა გააკეთოს, როგორ უნდა ისწავლოს სტუდენტმა, თუ სწავლის დროის უმეტესი ნაწილი იმ ფიქრს მოანდომა: „ხვალ რა ვსჭამო!“

ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელიც სწავლას და გონების განვითარებას უშლის ჩვენებურ სტუდენტს, უსათუოდ ისიც უნდა იყოს, რომ ყმაწვილი სიღარიბის გამო, იძულებულია დადგეს ნოტიო, სანახევროდ ბნელს ოთახში. სადმე რომ თავის ოთახიდამ გავა, ამ ნაირს ცუდს ოთახში მდგომი ყმაწვილი, შინ დაბრუნება ჭირის-დღესავით ეჯავრება.

კიდევ უფრო უბედურება ის არის, როდესაც ამ ნაირად ნივთიერს საშუალების უქონლობით ჩაგრულს, ბუნებაც თან წამოემატება თავისი სუსხი ზამთრით. დღემდინ გარეთ მაინც დადიოდა ამხანაგებთან ან ნაცნობებთან, ეხლა ეგეც მოესპო, რადგან საზამთროთ მომზადებული არ არის.

ეს პატარა შენიშვნაც საკმაოა, რომ მკითხველმა ამ ნაირს სიღარიბეში გამოზრდილი უმეტესი ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობისა არ დასძრახოს, თუ მათს მოქმედებაში ზოგჯერ კარგად დახელოვნებული, საზოგადო საჭიროებისათვის რიგიანად მომზადებული პატიოსანი მშრომელი პირები ვერ ნახოს ჩვენში. ნუ დაივიწყებთ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ კარგად მომზადებას, გონების ყოველ მხრით გავარჯიშებას უნდა საკმაო ნივთიერი საშუალება; ნუ დაივიწყებთ, რომ სულიერი საზრდოის მოსაპოებლად საჭიროა ხორციელი საზრდო, ნივთიერი საშუალების დახარჯვა. და ვისაც ეს უკანასკნელი არა აქვს საკმაოდ, ის, თუ სულ არა, სანახევროდ მაინც ვერ შეიძენს იმას, რისიც შეძენა შეეძლო.

რამდენი კეთილი და საქვეყნო საქმეები გვიყრია ხელ-უხლებლად, უკაცობის გამო, და რამდენ ალაგას ფორმისთვის ჩაუყენებიათ ალლამა იცის ვინ! ერთი რომ ბედმა ჩვენც გაგვიცინოს და რამე კეთილი მოგვანიჭოს, სამი რიგიანი კაცის მონახვა გაგვიჭირდება. რისთვის? განა განათლება არ მიუღიათ? უმაღლესს სასწავლებელში გამოზრდილთა რიცხვი ცოტაა?—არა; მართალია არც მათი რაოდნობა გააკვირვებს ევროპას, მაგრამ საქმე მარტო უნივერსიტეტის დიპლომში როდია, ჩვენ ვეძებთ კაცს, რომელსაც ესმოდეს თავისი მოვალეობა, შთაუნერგოს თავის მოძმეებს მომავალის იმედი, აუძრას მათ წინ-მიმზიდველი, დროებითი შეჩერებული ჩარხის ბორბლები. და ამისთანა კაცები ჩვენში საუბედუროთ, ჯერ-ჯერობით თითქმის სულ არ იბადებიან...

ქართველი სტუდენტი.

---

## ქართული თეატრი

ბენეფისი მ. მ. საფაროვისა.

პარიჟელი კინტო (?), კომედია ორს მოქმედებად.

დროებითი სიყვარული, კომედია ორს მოქმედებად.

ამ ბოლოს დროს ჩვენმა აქტიორებმა მოდად შემოიღეს დროზედ და უდროვოდ საზოგადოებას უსაყვედურებენ სცენიდამ, რატომ ქართულ თეატრში არ დადიხართო. ერთხელ და ორჯერ მოსწრებულად ამის თქმა იქნება მოსაწონიც იყოს და ტაშიც გამოიწვიოს, მაგრამ ყოველს წარმოდგენაში ამის გამეორება, თქვენც დამეთანხმებით, უფრო დააფთხობს საზოგადოებას, ვიდრე მიიზიდავს.

ამ ქადაგებას სცენიდამ ისა სჯობს, იმისთანა ჩინებული წარმოდგენა გამართონ ხოლმე, როგორც ოთხშაბათ საღამოს იყო და მაშინ ნახვენ, ივლის საზოგადოება თუ არა.

სამშაბათის წარმოდგენამ ნათლად დაგვანახვა რომ, თუ პიესას აზრი აქვს, თუ ის თეატრის ხელოვნების ცოდნით არის დაწერილი და თუ—ეს უმთავრესი საგანია—აქტიორებმა როლები იციან, საზოგადოება გულმოდგინებით უგდებს ყურს პიესას თუნდაც რომ ეს პიესა პირ-და-პირ ჩვენს ცხოვრებას არ შეეფერებოდეს.

პიესა „პარიჟელი კინტო“, ორს დასახელებულს პირობას კარგად ასრულებდა და მესამეს კვლავინდებურზედ უკეთ ასრულებდენ აქტიორები ამ პიესის წარმოდგენის დროს.

შინაარსი პიესისა არ არის მეტად რთული: ერთი ღარიბი ქალი (ნ. ხეიძისა) შეუცდენია მდიდარის ღენერლის შვილს (ა. ყაზიბეგი). პატარა ძმა ამ ქალისა (მ. საფაროვისა), ცოცხალი, ჭკვიანი, გულ-მართალი და მტკიცე ხასიათის ყმაწვილია; შეიტყობს თუ არა ის ამ ამბავს, მოაგონდება თავის მამის ანდერძი, შენს დას უპატრონეო, გაიგებს ღენერლის შვილის ვინაობას, მიდის იმ ღენერალთან (კ. ყიფიანი), უამბობს თავის დის თავგადასავალს და მისის გულ-წრფელობით და ძმურის სიყვარულით მოხიბლული ღენერალი უბძანებს თავის შვილს შეირთოს ის ქალი და მით გასწმინდოს თავისი უნამუსობა.

უმთავრესი როლი ამ პიესაში არის როლი პარიჟელის ბიჭისა (და არა კინტოსი), რომლისაც კარგი ხასიათი თუნდა ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია, მაგრამ, მაინც ისე აზიდავს მაყურებლის გულს, რომ თითქმის ყოველის ფრაზის წარმოთქმაზედ აღტაცებული ტაშის კვრა მოისმოდა საზოგადოებაში.

პარიჟელის ბიჭის როლს, თუმცა უნაკლულოდ არა, მაგრამ მაინც ჩინებულად ასრულებდა თვითონ მობენეფისე—მ. საფაროვისა.

მხოლოდ ხანდისხან ავიწყდებოდა იმას, რომ პარიჟელი ბიჭის როლი ისეთი ჩინებული როლია, რომ სასაცილოს მხარეს გადაჭარბება სულ მოსთხრიდა მას. ერთხელ ორჯერ კიდევაც დააპირა ეს გადაჭარბება, მაგრამ დროზედ შეიმაგრა თავი. მაგალითად, როდესაც თავისი და შეიყვანა ღენერალთან და ჩუმად არიგებდა კარგად დაჯექი, კარგად, ნუ გეშინიანო და ეს დარიგება თითქო მაყურებელთა სასიამოვნოდ რამდენჯერმე გაიმეორა. აგრეთვე რამდენჯერმე დაცინვით გაიმეორა ზოგიერთა ღენერლისაგან ნათქვამი სიტყვები დაცინვით, როდესაც ეს უარზედ იდგა იმის შვილს შეზეფას და შეერთო.

მაგრამ ეს მცირედი ნაკლულევანება არად გამოჩნდა საფაროვის ქალის ხელოვნურ თამაშობასთან პიესის საუკეთესო ალაგებში:

ბიჭი ბიჭი, რომელიც სულ ხუმრობს, თამაშობს, ბებერს კომისიონერს მუხლებში სჩქმეტს, უცებ შეიტყობს, რომ იმისი და—გაუპატიურებულია და ამ ამბის შეტყობის შემდეგ წამში იმართება, თითქო სიმაღლეც ემატება, ემატება იმის ხმას ძლიერებაც და მღელვარედ, თვალებში ცრემლ-მორეული, ამბობს: როგორ მოვუარო ჩემს დას? აგონდება თავის მამის ანდერძი, შენს დას უპატრონეო; აგონდება, რომ ჯერ იმას თავის დისთვის არა უზრუნვია-რა და არამც თუ არ უზრუნვია, გააუპატიურებინა კიდეც და ეს ამბავი გულს უთუთქავს. გაბედულობით ამბობს: ან ჩემს დას ვუშველი რასმეს, ან ჩემს თავს ზედ დავადებო.

ეს მონოლოგი საუკეთესო მონოლოგია მთელს პიესაში და საფაროვის ქალმა ისე წარმოსთქვა, რომ ბევრს მაყურებელს ტანში ჟრუანტელმა გაურბინა.

წინდაწინვე ვთქვი, რომ შემდეგში, სადაც უფრო დრამატიული ადგილები იყო, საფაროვის ქალმა ეს ადგილები ცოტა სასაცილოდ გაჰხადა. მაგრამ სიგიჟმაჟე კი პარიჟელის ბიჭისა ისე გამოჰხატა, როგორც ნამდვილს ნიჭს შეჰფერის. კარგი რამ იყო მაგალითად ის სცენა, როდესაც ის ბებიას მუხლებზედ ეხვევა და აშოშმინებს, შენი ჭირიმე, ბებია, ნუ გამიჯავრდები, ქუდი რომ დავკარგე, არხში ჩახტომის დროსაო, ერთი ბავშვი იხრჩობოდა და ისე ხომ ვერ დავანებებდი თავსაო.

სხვა მოთამაშეებზედ ბევრს არას ვიტყვით, გარდა იმისა, რომ კ. ყიფიანს ძვირად გამოუჩენია თავისი არტისტიული ნიჭი ისე, როგორც „პარიჟელ ბიჭის“ თამაშობის დროს გამოიჩინა, ამ საღამოს, როგორც ეტყობოდა, ყური უფრო უჭრიდა, უფრო კარგად ესმოდა სუფლიორის ნალაპარაკევი.

მეორე პიესის „დროებითი სიყვარულის“ წარმოდგენამ შუაღამეს იქით გარდააცილა და ყველას დაეტყო დაღალულობა, საზოგადოებასაც და მობენეფისესაც. პიესაც ძალიან უხეიროდ გაივლიდა, მობენეფისეს, ახალგაზრდა გულ-უბრყვილო ქალის როლის შეუდარებელ თამაშობით რომ არ გაეცოცხლებინა პიესა.

---


# განცხადებანი

არწრუნის თეატრში

კვირას 11 იანვარს

ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება

I

კეთილი და უმანკო ანგელოზი

კომედია სამს მოქმედებად.

II

ნაპერწკალი

ვოდევილი ორს მოქმედებად.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში**. საავგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—1

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩევინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები. (100—1)

---

**1881 წლის პირველ იანვრიდამ ცალკე ნომრები «დროებისა» ქუთაისში ისყიდება ივანე ნიკოლაძის და შვილების მოდის მაღაზიაში.**

---

**„ქართული დრამატიული საზოგადოების"** დამფუძნებელნი მწევრნი მოწვეულნი არიან საზოგადოების საერთო კრილობაში კვირას, 18 იანვარს, დილის თერთმეტ საათზე, თბილისის თავად-აზნაურთა ბანკში.

საგანი ყრილობისა: საზოგადოების მმართველობის არჩევა. 3—2

---

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20—5)

---

**შოტლანდიის ქუდები** — 1 მან. 25 კაპეიკიდამ, ყმაწვილის წინდები, დუჟინი—1 მან. და მეტი, ტანისამოსის ცოცხი 50 კაპეიკიდამ, ბრიტანიის მეტალის ჩაინიკები—1 მანეთიდამ და ხვა—ისყიდება **ლონდონის მაღაზიაში**, კომერჩესკი ბანკის ქვეშ.

10—7

---

ინგლისის მაღაზიაში

**თმის აღმ-მყვანი**



**მაკ-ას-ტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—27)

---

**ლონდონის მაღაზია**

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—14)

---

**ლონდონის მაღაზიაში** კომერციული ბანკის ქვემოთ: საზამთრო ქუდები 2 მ. კარტუზი 4 მ. და 50 კ. ბავშვების წინდები, სტაქნები, საჩაიეები და სხვ. ძალიან იაფათ ისყიდება. 10—8

---

**„ვეფხვის-ტყაოსნის"**

შესასწორებლათ შემდგარი რედაქცია სთხოვს უეზდის უფროსებს, ეპარხიების მმართველთა უეზდების და გუბერნიის მარშლებსა და ყოველთა ქართული მწიგნობრობის მოყვარეთა იშოვონ და დროებით გამოგვიგზავნონ ქვემო-მოყვანილი ადრესით ხელ-ნაწერი „ვეფხვის-ტყაოსანი". შემდეგ პოემის შეთანხმებისა წიგნი დაუბრუნდება პატრონს უმეტ-ნაკლოთ.

ადრესი: Тифлисъ. Канцелярія общества грамотности. Саперная улица, № 41. 8—8

---

# შემთხვევით

რადგან ინგლისის მაღაზია სასმელეულით ვაჭრობას თავს ანებებს, ამის გამო ახლა ისყიდება: პირველის სორტის 3 წლის ხერესი და პორტვეინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. იქვე ისყიდება 5,000 ფადნოსი და გასალებები 8 კაპ., ინგლისის რევოლვერი 4 მანეთიდამ 35 მანეთამდინ, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. დუჟინი, პალტო და მთელი ტანისამოსი 15 მან. და სხვ. 20—16

---

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

| | | | |
|---|---|---|---|
| შავადრეთ ჩვენი ჩაი | —1 მ. 10 კ. | მოხრაკის ჩაის | —1 მ. 40 კ. |
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— „ |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— „ | — | —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—76)

---

**წარმატებაზე უკეთესი არა არის-რა,** ამაზედ შეიძლება დარწმუნდეს ყველა ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის გალერეიაში, სადაც მიღებულია დიდძალი **ჩაი** 1 მოკრებისა, შოკოლადი, კაკაო **ჟ**რეისა და სხვა საქონელი: ქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის; ხველების კანფეტები და სხვ. აგრეთვე დანა-ჩანგალი, ახალის სისტემის თოფები და სხვ. 15—15

---

მთელი ტანისამოსი ანუ პალტო—15 მანეთად. რევოლვერები—4 მანეთიდამ, ხველის კანფეტები გირვანქა 60 კაპ. ქინაქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის—1 მან. და 50 კაპ. ხერესი და პორტ-ვეინი—1 მან. 20 კაპ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10—9

---

**პატენტიანი შროტკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ფვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები [illegible]ბი (წყლის დასაწმენდი [illegible] ჭედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუში; მოკალათული კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხ. **ინგლისურს მაღაზიაში.** (100—73)

---

**შეხიშნვა**

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

**მაკ - მასტერი**

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს.

(100—90)

---

მიღებულია ჩაი, პირველი მოსავლისა, რევოლვერები, საჩაიეები, კამფეტები, მურაბები და სხვ. და სხვ. 25 პროცენტით ნაკლებ იყიდება მინამ სადმე სხვაგან — **ინგლისურ მაღაზიაში** არწრუნის გალერეიაში.

12—9

---

**მთელი ვაგონი** გემრიელი მურაბები—1 მან., პორტ-ვეინი და ხერესი—ბოთლი 1 მან. 20 კაპ., კონიაკი—2 მან.; დიდი ძალი საუკეთესო ჩაი—1 მან. 5 კაპ. 2 მანეთამდინ **ინგლისის მაღაზიაში.** 10—8

---

**ОТКРЫТА ПОДПИСКА**

на 1881 годъ

(четвертый годъ изданія) на

**„ТИФЛИССКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ"**

**подписная цѣна:**

Въ Тифлисѣ съ доставкою на домъ 3 руб., на $1/2$ года 2 руб. 50 к.

Иногороднымъ съ пересылкою на годъ 5 руб., на $1/2$ года 4 руб.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи, на Дворцовой улицѣ, въ домѣ Сараджева, съ 9-ти утра до 8-ми часовъ вечера.

5—5

---

ქუთაისში

# „ივანე ნიკოლაძის და შვილების"

მოდის მაღაზიაში

**ისყიდება ყველაფერი რაც გინდა სულით და გულით:**

მანდილოსნების ტანისამოსი, ოქროულობა, დიდ-ძალი და ჩინებული შუშეულობა, მშვენიერი საცვალი კაცისა და ქალების გასაოცარ იაფად. წარმოიდგინეთ: პარიჟში საგანგებოდ შეკერილი უპირველესი ხარისხის პერანგები თითო 3 მ.ნ. 75 კ. იყიდება! გარდა ამისა საზღვარ-გარეთის ჩინებული ჩექმები, რომელთაც **სიმტკიცე აქვს ნაჭედისა და სილბილე ნაქსოვისა**; ძალიან ბევრი სათამაშოები ბავშებისათვის და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, ვისაც რა გნებავთ, შებძანდით **„ივანე ნიკოლაძის და შვილების"** მოდის მაღაზიაში და იქ იპოვნით ყველაფერს ძალიან ხელ-მისაცემ ფასად, ისე რომ შემდეგში მუდამ მადლობელი იქნებით ამ მაღაზიისა

(10—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ 9 Января 1881 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი